საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 640-02
26/03/2024

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ“ რექტორის 2024 წლის 22 მარტის N623-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 26 მარტის N5286-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ“ რექტორის 2024 წლის 22 მარტის N623-02 ბრძანების მე-5 პუნქტში, კერძოდ არჩევნების ჩატარების თარიღში და ჩამოყალიბდეს ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად:

„5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატის შვიდ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 1 აპრილს 13:00 საათიდან 16:00 საათამდე E 404 აუდიტორიაში. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს.“

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა და ინფორმირება
4. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ადამიანური რესირსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი